



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამებისთვის

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, პირველი
საფეხური

შპს - ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 25.05.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.08.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.....	15
IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	17
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	17
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება.....	32
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	45
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	50
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	63

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს - ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოკრატის კაციკასი, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანი არაბული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ რაზმაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ თხელიძე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	კომპიუტერული მეცნიერება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	კომპიუტერული მეცნიერება
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახლად შეთავაზებული
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, უსდ-ის მიერ სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (CUE) მიერ შემუშავებულ, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ახალ საგანმანათლებლო პროგრამას (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე). პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე; კურსდამთავრებულს მიენიჭება კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომლის სტანდარტული ხანგრძლივობაა სამი სასწავლო წელი (ექვსი სემესტრი). პროგრამის დეტალური სფეროს კოდია 0613 – 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი, რომელიც შესაბამისობაშია როგორც საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, ისე ISCED-F 2013-ის კლასიფიკაციასთან. პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტების, აგრეთვე, უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ეფუძნება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) პრინციპებს, ორიენტირებულია სტუდენტზე და მისი სასწავლო დატვირთვა, სასწავლო კომპონენტების თანამიმდევრობა და შეფასების მექანიზმები ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გეგმა მოიცავს სპეციალობის 162 ECTS კრედიტს, მათ შორის – 152 ECTS კრედიტის სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომელთა შემადგენლობაში შედის სპეციალობის 4 - კრედიტიანი პროექტი და 10 - კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გათვალისწინებულია 10 ECTS კრედიტი, ხოლო 18 ECTS კრედიტი ეთმობა სავალდებულო თავისუფალ კომპონენტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა გამოირჩევა პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული მიდგომით და მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასა და ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებულ პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფილია გარე ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებით. პროგრამის დასრულებისათვის აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე. სტუდენტები, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხვის მომენტში აღნიშნულ დონეს არ აკმაყოფილებენ, ინგლისური ენის სასწავლო კურსებს გაივლიან 180 - კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში ან მის მიღმა, უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციებით. პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციები, აგრეთვე, საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედი ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების მქონე გარე ექსპერტები, რომლებმაც პროგრამა შეაფასეს განვითარების ეტაპზე, ხოლო მათი რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის საბოლოო რედაქციის მომზადებისას. პროგრამა შესაბამისობაშია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 დეკემბრის №0 24 0001611893 ბრძანება). პროგრამას განახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული

პერსონალი, რომელთა კომპეტენცია მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების, მონაცემთა ანალიზის, ხელოვნური ინტელექტისა და მასთან დაკავშირებული სფეროების ძირითად მიმართულებებს. სწავლებისა და სწავლის პროცესი განხორციელდება სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებსა და კომპიუტერულ ლაბორატორიებში. პროგრამას ემსახურება ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე (eIFL, ScienceDirect, Scopus და სხვ.). პროგრამის ეფექტიან განხორციელებასა და სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ადმინისტრაციული, აკადემიური და სტუდენტური მომსახურების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და სწავლების ინოვაციური მეთოდების სასწავლო ცენტრი. 2026–2027 სასწავლო წლისათვის, პროგრამისთვის განსაზღვრულია ცალკე ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსებას, ლაბორატორიული რესურსების განვითარებას, საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებასა და სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საკრედიტაციო ვიზიტი დაიწყო 2026 წლის 25 მაისს დილით, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტს. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ინტერვიუები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ყველა შეხვედრას დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, შეუერთდა. ექსპერტთა ჯგუფმა იმავე დღეს გამართა ყველა შეხვედრა და დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. ამის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გამართა სამუშაო დისკუსია, სადაც ექსპერტები შეთანხმდნენ ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების ახალი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგინა ექსპერტთა მიგნებების მოკლე მიმოხილვა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციის ყველა სტანდარტთან შესაბამისობაშია, გარდა 1.2, 1.4, 1.5, 4.4 და 4.5 კომპონენტებისა, რომელთა მიმართებითაც პროგრამა შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი.

▪ რეკომენდაციები

0 1.2.1: რეკომენდებულია, პროგრამის პირველი მიზნის გადახედვა აპარატურულ უზრუნველყოფასთან (hardware) დაკავშირებული მითითების ამოღებით ან სასწავლო გეგმის ცვლილება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ-ერთი კომპონენტის დამატებით:

0 აპარატურულ სისტემებზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სასწავლო კურსი;

- o ან სასწავლო კურსების თანმიმდევრობა, რომელიც მოიცავს კომპიუტერული აპარატურის საფუძვლებსა და არქიტექტურას.
- o 1.4.1: რეკომენდებულია, გადაიხედოს წარმოდგენილი სტრუქტურისა და სილაბუსების შემდეგი ელემენტები:
 - o **MS Office:** რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საოფისე აპლიკაციები („Office Applications“) გადაიტანოთ არჩევით კომპონენტში.
 - o **გრაფიკული პროგრამული პაკეტები (Graphic Software Packages):** რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სასწავლო კურსის როლი და ადგილი პროგრამის ძირითად სასწავლო გეგმაში, ვინაიდან კურსი ისწავლება პირველ სემესტრში და მისი კავშირი პროგრამის სხვა ძირითად კომპონენტებთან მკაფიოდ არ იკვეთება.
 - o **ნეირონული ქსელები და მანქანური სწავლება:** რეკომენდებულია, განისაზღვროს შესაბამისი წინაპირობები ნეირონულ ქსელებსა და მანქანურ სწავლებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსებისთვის.
 - o **მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები 1:** რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობები.
- o 1.5.1: რეკომენდებულია, გარკვეულ სილაბუსებში შეფასების ინსტრუმენტები უფრო მეტად დაზუსტდეს და გაძლიერდეს, რათა მკაფიოდ აისახოს გუნდური მუშაობის კომპეტენციის შეფასება და მისი შესაბამისობა პროგრამის მე-9 სწავლის შედეგთან.
- o 1.5.2: კომპიუტერული ქსელების სასწავლო კურსი: რეკომენდებულია, თემების თანმიმდევრობა გადაიხედოს OSI მოდელის ლოგიკური სტრუქტურის შესაბამისად - პირველი ფენიდან მეშვიდე ფენამდე.
- o 4.4.1: რეკომენდირებულია, ლიტერატურის განახლება შემდეგი სასწავლო კურსებისთვის: კიბერუსაფრთხოება, კომპიუტერის არქიტექტურა, ინფორმაციული უსაფრთხოება და პროგრამული ინჟინერია.
- o 4.5.1: რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა, განსაკუთრებით სტუდენტთა აკადემიური და კლასგარეშე/აქტივობების მხარდასაჭერად. ამ მიმართულებით ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება ხელს შეუწყობს: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კონკურსებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდას; რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ცნობადობისა და რეპუტაციის ამაღლებას; სტუდენტური კვლევების, ინოვაციებისა და პროფესიული ქსელური კავშირების წახალისებას; აგრეთვე, პროგრამის საერთო კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის გაზრდას.

▪ რჩევები

- o 1.1.1: სასურველია, პროგრამის პირველ მიზანსა და პროგრამის აღწერაში დაზუსტდეს ტერმინი „ტექნიკური მხარდაჭერა“ და განიმარტოს, გულისხმობს თუ არა იგი IT მხარდაჭერას, სისტემურ ადმინისტრირებას თუ ტექნიკური ინფასტრუქტურის მხარდაჭერას.

- o 1.5.1: სასურველია, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა გამდიდრდეს უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოებითა და აკადემიური წყაროებით.
- o 2.2.1: სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის ობიექტების ქსელი კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი მიმართულებების მიხედვით.
- o 2.2.2: სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.
- o 3.1.1: სასურველია, გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისა და მოტივაციის ღონისძიებები, სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის წახალისების მიზნით, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აკადემიურ აქტივობებში.
- o 4.4.1: ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის მოსალოდნელი ზრდის (წელიწადში დაახლოებით 30 სტუდენტი) გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაძლიერება. მომდევნო წლებში, არსებული ინფრასტრუქტურა შესაძლოა გამოწვევების წინაშე დადგეს ისეთი მაღალი წარმადობის პროგრამული აპლიკაციების ეფექტიანად მხარდაჭერის თვალსაზრისით, როგორებიცაა AutoCAD-ი და ArchiCAD-ი. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ხელმისაწვდომია მხოლოდ 15 მაღალი წარმადობის კომპიუტერი.
- o 4.4.2: სასურველია, ასევე განვითარდეს ლაბორატორიული რესურსები, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს ისეთი სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტები, როგორიცაა „კიბერუსაფრთხოება“ და „კომპიუტერული ქსელები“. ამჟამად, არსებული ლაბორატორიები უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ემსახურება, რამაც შესაძლოა შეზღუდოს მათი ხელმისაწვდომობა და პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებული აქტივობების ეფექტიანი განხორციელება.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴
არ ეხება

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას 1.2.1 რეკომენდაციასთან, 1.4.1 რეკომენდაციის უმეტეს ნაწილთან (გარდა კურსისა „MS ოფისი“); 1.5.1 რეკომენდაციასთან, 4.4.1 რეკომენდაციის ნაწილთან (გარდა კურსისა „კომპიუტერის ორგანიზაცია და არქიტექტურა(Computer Organization and Architecture“)) დაკავშირებით. დაწესებულება არ ეთანხმება 1.5.2 და 4.5.1 რეკომენდაციებს. იგი მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი რეკომენდაცია უნდა გადაკვალიფიცირდეს რჩევად. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და მიიღო გადაწყვეტილება, დასკვნაში ცვლილებები არ შეიტანოს.

⁴პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი), მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტებისა და/ან დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა;

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში (რომლებიც ასევე მოცემულია და განხილულია კომპონენტში 4.1) ნაჩვენებია პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	24	13	9	5
- პროფესორი	3	-	3	1
- ასოცირებული პროფესორი	5	1	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	1	-	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	15	12	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-	-	-	-

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამისი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, 9 აკადემიური პერსონალი და 15 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედის 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის (24) და მოწვეული პერსონალის (15) თანაფარდობა ადასტურებს, რომ პროგრამას აქვს საკმარისი აკადემიური და ადამიანური რესურსი, მისი საწყისი ეტაპის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი აჯამებს მონაცემებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების შესახებ.

პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მაჩვენებლები (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	165
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები	–
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები	56
ადგილობრივ კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები	1
საერთაშორისო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები	96
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები	12

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

პროგრამა ახლადშექმნილია, აქამდე შეთავაზებული არ ყოფილა.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

პროგრამა ახლადშექმნილია, აქამდე შეთავაზებული არ ყოფილა.

- თვითშეფასების ანგარიშსა და დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიმდინარე სასწავლო წლის ბიუჯეტი, ასევე, პროგრამისთვის მომავალ სასწავლო წელს გათვალისწინებული ბიუჯეტი მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. ეს საკითხები ასევე განხილულია 4.5 კომპონენტის ნაწილში.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტები ითვალისწინებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების, სამეცნიერო კონფერენციების, კვლევითი საქმიანობის, სტიპენდიების, ლაბორატორიული რესურსების, ბიბლიოთეკის განვითარების, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსებას. ბიუჯეტის აღნიშნული განაწილება ნათლად აჩვენებს დაწესებულების მიდგომას, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი და ეფექტური განხორციელება და ხელი შეუწყოს მის უწყვეტ განვითარებას.

თუმცა, სასარგებლო იქნება სტუდენტზე ორიენტირებული სამეცნიერო და აკადემიური აქტივობებისთვის მეტი ფინანსური მხარდაჭერის გამოყოფა. კერძოდ, სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, ოლიმპიადების და მასთან დაკავშირებული აკადემიური ჩართულობის ინიციატივების დამატებითი დაფინანსება გაზრდის პროგრამის რეგიონულ კონკურენტუნარიანობას და წაახალისებს საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში სტუდენტების უფრო მასშტაბულ მონაწილეობას.

- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე წინა შეფასების პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმოხილვა.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებული ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მეტწილად შესაბამისობაშია
5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ](#)

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები.

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ფორმულირებული, შეესაბამება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროს სპეციფიკას და ადეკვატურია პირველი საფეხურის (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე) აკადემიური ხარისხისთვის. პროგრამა აერთიანებს თეორიულ საფუძვლებს, პრაქტიკულ კომპეტენციებსა და ტრანსფერულ უნარებს, რაც ეხმარება კომპიუტერული მეცნიერების, როგორც სწრაფად განვითარებადი დისციპლინის, ბუნებას; ასევე, იმ მოლოდინებს, რაც არსებობს საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულებისადმი, მათ პროფესიულ და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვის მხრივ.

პროგრამის მიზნები ეფუძნება კომპიუტერული მეცნიერების სფეროს გააზრებას და მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას, ალგორითმებსა და მონაცემთა სტრუქტურებს, კომპიუტერულ არქიტექტურას, ოპერაციულ სისტემებს, კომპიუტერულ ქსელებს, მონაცემთა ბაზებს, ხელოვნურ ინტელექტს, კიბერუსაფრთხოებასა და გამოყენებით პროგრამირებას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს კომპიუტერული მეცნიერების თანამედროვე მიმართულებებით ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განვითარებას; ტექნოლოგიების შეფასებისა და ალგორითმული პრობლემების გადაჭრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს პროფესიული ამოცანების შესაბამისად შეარჩიონ, დაასაბუთონ ან შეიმუშაონ ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები; კომუნიკაციის უნარების განვითარებას, მათ შორის არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბებასა და ეფექტიან წერილობ და ზეპირ კომუნიკაციას; ასევე, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის კომპეტენციების განვითარებას, რაც მოიცავს დამოუკიდებელ პროფესიულ განვითარებას, გუნდურ მუშაობასა და ეთიკური და

პროფესიული სტანდარტების დაცვას. აღნიშნული მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის აღმწერებს, რომლებიც კურსდამთავრებულისაგან მოითხოვს დარგის ფართო ცოდნის ფლობას, რთული პრობლემების გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების უნარს, აგრეთვე, პროფესიულ გარემოში დამოუკიდებელი სწავლისა და პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას. დანართი 1-ში წარმოდგენილი შესაბამისობის რუკა ადასტურებს, რომ პროგრამის მიზნები მიიღწევა კონკრეტული სწავლის შედეგების მეშვეობით. სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობის დეტალური რუკები (დანართი 2), სწავლებისა და სწავლის მეთოდებთან შესაბამისობის მატრიცა (დანართი 3) და შეფასების ინდიკატორები (დანართი 4) ცხადყოფს, რომ პროგრამის მიზნები სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის სტრუქტურასა და განხორციელების პროცესში.

პროგრამის მიზნები შემუშავდა სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა შრომის ბაზრის კვლევასა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზს; პოტენციურ დამსაქმებლებთან, მათ შორის კერძო კომპანიებსა და მუნიციპალურ დაწესებულებებთან კონსულტაციებს; აგრეთვე, აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და გარე ექსპერტების უკუკავშირის გათვალისწინებას. ექსპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას დამსაქმებელმა დაადასტურეს, რომ მაღალი მოთხოვნა არსებობს სპეციალისტებზე, რომლებიც ფლობენ პროგრამირების, ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის ძლიერ უნარებს, აგრეთვე, ეფექტიანი კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის კომპეტენციებს. პროგრამის მიზნები ასახავს აღნიშნულ მოთხოვნებს, ხოლო დამსაქმებელთა რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამა დაიხვეწა.

პროგრამა ხელს უწყობს როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს, ისე საზოგადოების განვითარებას, ვინაიდან ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ საქართველოს ციფრულ ტრანსფორმაციასა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით არსებული ეროვნული პრიორიტეტების განხორციელებაში, რაც შესაბამისობაშია ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; ის აძლიერებს ადგილობრივ აკადემიურ საზოგადოებას ცოდნის გენერირების, გავრცელებისა და გამოყენებითი კვლევის უნარების განვითარების ხელშეწყობით; ხელს უწყობს ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების პოზიტიურ გავლენას ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე; ხოლო, ინგლისური ენის B2.2 დონეზე ცოდნა ზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო შრომის ბაზარზე და ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ICT ეკოსისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუების შედეგები;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- o დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://cue.edu.ge/>.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o S1.1.1: სასურველია, პროგრამის პირველ მიზანსა და პროგრამის აღწერაში დაზუსტდეს ტერმინი „ტექნიკური მხარდაჭერა“ და განიმარტოს, გულისხმობს თუ არა იგი IT მხარდაჭერას, სისტემურ ადმინისტრირებას თუ ტექნიკური ინფასტრუქტურის მხარდაჭერას.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები ფოკუსირებულია ოთხ ძირითად მიმართულებაზე, კერძოდ: კომპიუტერული მეცნიერების სფეროში ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ჩამოყალიბებაზე; ტექნოლოგიების შეფასებისა და ალგორითმული პრობლემების გადაჭრის კომპეტენციების განვითარებაზე; ეფექტიანი კომუნიკაციისა და არგუმენტირებული

მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებაზე; ასევე, დამოუკიდებლობის, გუნდური მუშაობისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფაზე.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ასახავს კომპიუტერული მეცნიერების სფეროს აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. აღნიშნული მოიცავს: ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიების, კომპიუტერის არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელების, ოპერაციული სისტემების, მონაცემთა სტრუქტურებისა და ალგორითმების ცოდნასა და გააზრებას (იხ. დანართი 1; დანართი 2); პრაქტიკულ და ანალიტიკურ უნარებს, მათ შორის ტექნოლოგიების შერჩევის, ალგორითმების დაპროექტებისა და განხორციელების, სისტემების გამართვისა და პროგრამული გადაწყვეტილებების შემუშავების უნარს (იხ. დანართები 1 და 4), კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის კომპეტენციებს, მათ შორის ეფექტიან პრეზენტაციას, არგუმენტირებულ მსჯელობასა და თანამშრომლობითი გზით, პრობლემების გადაჭრის უნარს (იხ. დანართი 1; დანართი 3); ასევე, დამოუკიდებლობასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას, რაც მოიცავს ეთიკური პრინციპების დაცვასა და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარს (იხ. დანართი 1).

სწავლის შედეგები პროგრამის მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას უზრუნველყოფს. დანართი 1-ში წარმოდგენილი შესაბამისობის დეტალური მატრიცა ცხადყოფს, რომ თითოეული სწავლის შედეგი დაკავშირებულია პროგრამის ერთ ან რამდენიმე მიზანთან. მაგალითად, ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიების, კომპიუტერის არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელების, ალგორითმებისა და მონაცემთა სტრუქტურების ცოდნასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები შეესაბამება ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის განვითარების მიზანს; ამოცანების ანალიზის, ტექნოლოგიების შერჩევისა და ალგორითმების დაპროექტების შესახებ სწავლის შედეგები ემსახურება ტექნოლოგიების შეფასებისა და გამოყენების კომპეტენციების განვითარებას; ბიზნეს კომუნიკაციისა და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შესახებ სწავლის შედეგები შეესაბამება ეფექტიანი კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზანს; ხოლო გუნდური მუშაობის, ეთიკური ქცევისა და დამოუკიდებელი პროფესიული განვითარების შესახებ სწავლის შედეგები დაკავშირებულია პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობისა და პროფესიული კეთილსინდისიერების განვითარების მიზანთან. აღნიშნული შესაბამისობა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები არ წარმოადგენს იზოლირებულ დებულებებს, არამედ უშუალოდ ემსახურება პროგრამის საერთო მიზნების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს კომპიუტერული მეცნიერების ძირითად მიმართულებებსა და იმ კომპეტენციებს, რაც მოსალოდნელია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში დასაქმებული კურსდამთავრებულებისგან. ისინი მოიცავს ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნას (ალგორითმები, მონაცემთა სტრუქტურები, კომპიუტერის არქიტექტურა, კომპიუტერული ქსელები, ოპერაციული სისტემები); გამოყენებით და პრაქტიკულ უნარებს (პროგრამირება სხვადასხვა პარადიგმისა და პროგრამირების ენის

გამოყენებით, მონაცემთა ბაზების პროექტირება, ვებტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების საფუძვლები, კიბერუსაფრთხოება); ანალიტიკურ და პრობლემების გადაჭრის უნარებს (ამოცანების დეკომპოზიცია, ტექნოლოგიების შეფასება, ალგორითმული დაპროექტება); ასევე, პროფესიულ კომპეტენციებს (კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება და უწყვეტი პროფესიული სწავლა).

დანართი 2 - ში წარმოდგენილი სასწავლო გეგმის რუკა ადასტურებს, რომ აღნიშნული სწავლის შედეგები, პროგრამის განხორციელებისას, მიიღწევა შესავლის, გაღრმავებისა და განმტკიცების დონეებზე, რაც უზრუნველყოფს მათი სიღრმისა და სირთულის თანმიმდევრულ პროგრესიას, კომპიუტერული მეცნიერების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სწავლის შედეგები სტრუქტურირებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამი ძირითადი კატეგორიის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ცოდნისა და გაცნობიერების კატეგორია მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი კომპონენტების მყარ თეორიულ საფუძვლებსა და მათი არსის გააზრებას; უნარების კატეგორია ასახავს იმ პრაქტიკულ და ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად; ხოლო, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორია უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ პასუხისმგებლიანი მუშაობა დინამიკურ პროფესიულ გარემოში.

პროგრამა სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გეგმის მეშვეობით (დანართი 2); სწავლის შედეგების სპეციფიკის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ლექციების, ლაბორატორიული სამუშაოების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევების ანალიზისა და პროექტზე დაფუძნებული აქტივობების საშუალებით (დანართი 3); ასევე, შეფასების ისეთი მექანიზმებით, რომლებიც თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას აფასებს თეორიული გამოცდების, პრაქტიკული დავალებების, პროექტებისა და საბაკალავრო ნაშრომის საფუძველზე (დანართი 4).

თუმცა, პროგრამის სტრუქტურაში იკვეთება გარკვეული ხარვეზი პროგრამის პირველი მიზნისთან - აპარატურულ (hardware) კომპონენტთან - მიმართებით, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს: „კომპიუტერული მეცნიერების თანამედროვე მიმართულებების როგორც პროგრამული (software), ისე აპარატურული უზრუნველყოფის (hardware) კუთხით, ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.“ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით, პროგრამა მოიცავს მხოლოდ ერთ სპეციალიზებულ სასწავლო კურსს, რომელიც უშუალოდ აპარატურულ კომპონენტზეა ორიენტირებული - „კომპიუტერის

არქიტექტურა“. ამასთან, არც ერთი სხვა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში პირდაპირ არ არის ასახული აპარატურულ კომპეტენციებთან დაკავშირებული საკითხები და დოკუმენტაციიდან ასევე არ იკვეთება აპარატურულ ნაწილთან დაკავშირებული ლაბორატორიული ან სხვა პრაქტიკული აქტივობების არსებობა. გარდა ამისა, კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის წარმოდგენილი შესაბამისობის მატრიცა აპარატურულ კომპეტენციებს აკავშირებს ისეთ სასწავლო კურსებთან, რომლებიც აპარატურულ (hardware) საკითხებთან ან საერთოდ არ არის დაკავშირებული, ან მხოლოდ ირიბად შეიძლება ეხებოდეს მათ. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებული აპარატურული (hardware) კომპონენტი არსებული სასწავლო კურსების ერთობლიობით სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. აღნიშნული შეუსაბამობა გავლენას ახდენს პროგრამის შესაძლებლობაზე, სრულყოფილად უზრუნველყოს პირველი მიზნის მიღწევა და მისი აღმოფხვრა მიზანშეწონილია სასწავლო გეგმის გადახედვის გზით ან ისეთი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენით, რომლებიც დაადასტურებს პროგრამაში აპარატურულ კომპონენტთან დაკავშირებული შინაარსის ინტეგრირებას. თუმცა, ამჟამად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეს არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- სილაბუსები;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები.

რეკომენდაციები.

- R1.2.1: რეკომენდებულია, პროგრამის პირველი მიზნის გადახედვა - აპარატურულ უზრუნველყოფასთან (hardware) დაკავშირებული მითითების ამოღებით ან სასწავლო გეგმის ცვლილება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ-ერთი კომპონენტის დამატებით:
 - აპარატურულ სისტემებზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სასწავლო კურსი;
 - ან სასწავლო კურსების თანმიმდევრობა, რომელიც მოიცავს კომპიუტერული აპარატურის საფუძვლებსა და არქიტექტურას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირებულია და მიიღწევა დანართი 4-ში წარმოდგენილი შეფასების ინდიკატორებისა და რუბრიკების მეშვეობით. თითოეული სწავლის შედეგისთვის პროგრამით განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები; შესრულების შეფასების ხუთდონიანი რუბრიკები, რომლებიც მოიცავს შეფასების დიაპაზონს „საერთოდ არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს“-დან „სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებს“- მდე; ასევე განსაზღვრულია შესაბამისობა შეფასების ინდიკატორებს, სასწავლო კურსებსა და შეფასების მეთოდებს შორის.

მონაცემების შეგროვება ხორციელდება სასწავლო პროცესში ინტეგრირებული მრავალფეროვანი და ურთიერთშემავსებელი შეფასების მეთოდების გამოყენებით. დანართი 4-ის მიხედვით, აღნიშნული მეთოდები მოიცავს: შუალედურ და დასკვნით გამოცდებს (დახურული ტიპის კითხვები, ღია ტიპის კითხვები, თეორიული კითხვები და პრაქტიკული დავალებები); ლაბორატორიულ და პრაქტიკულ დავალებებს (მაგალითად, პროგრამირების ამოცანები, პროგრამული კოდის გამართვა (debugging), სისტემების კონფიგურაცია); პროექტებსა და დარგობრივ დავალებებს (მაგალითად, „სპეციალობის პროექტი“ და „საბაკალავრო ნაშრომი“); პრეზენტაციებს, წერით ნამუშევრებსა და საკომუნიკაციო დავალებებს, რომლებიც აფასებს არგუმენტირებული მსჯელობისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარებს; ასევე, სასწავლო კურსის ფარგლებში მიმდინარე შეფასების სხვადასხვა ფორმას (სემინარები, საშინაო დავალებები, შემთხვევების ანალიზი (case studies), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების აქტივობები). თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები და მათი შესაბამისობა პროგრამის რელევანტურ სწავლის შედეგებთან.

შეგროვებული მონაცემების ანალიზს ერთობლივად ახორციელებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი. ანალიზი მოიცავს თითოეული სწავლის შედეგისა და შეფასების ინდიკატორის მიხედვით მიღწეული შედეგების აგრეგირებულ შეფასებას; იმ სწავლის შედეგების იდენტიფიცირებას, რომელთა მიღწევაშიც სტუდენტები სისტემატურად აწყდებიან სირთულეებს; სხვადასხვა სტუდენტური ნაკადისა და სემესტრის მიხედვით მიღწეული შედეგების შედარებით ანალიზს; შეფასების ვალიდურობისა და მისი შესაბამისობის შეფასებას პროგრამის სწავლის შედეგებთან; ასევე, სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული თვისებრივი უკუკავშირის ინტეგრირებას. შეფასების პროცესი ციკლურ ხასიათს ატარებს, სათანადოდ აღირიცხება და წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განუყოფელ ნაწილს.

პროგრამა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების შეფასების შედეგები სისტემატურად გამოიყენება პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო გეგმის გადასახედად; კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლის შედეგების შეფასების მონაცემებზე დაყრდნობით, ასწორებენ სასწავლო კურსების შინაარსსა და თანმიმდევრობას; აძლიერებენ იმ მიმართულებებს, სადაც სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელია არასაკმარისია (მაგალითად, ალგორითმული აზროვნების განვითარების ან პროგრამირების პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების მიმართულებით); აახლებენ სილაბუსებს სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სწავლის შედეგების უკეთესი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; ასევე, ნერგავენ ან ცვლიან პრაქტიკულ კომპონენტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებსა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების აქტივობებს. ამასთანავე, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირიც, რომლებმაც შეაფასეს პროგრამა და შეიმუშავეს რეკომენდაციები შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით; აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც ანალიზებენ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხს და წარადგენენ როგორც პედაგოგიური, ისე პროგრამის სტრუქტურულ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რჩევებს; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირი, რომელიც გამოიყენება სწავლების მეთოდების, სასწავლო კურსების სირთულისა და სასწავლო დატვირთვის განაწილების გაუმჯობესების მიზნით; ასევე, გარე ექსპერტების შეფასებები, რომელთა შეფასებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სტრუქტურის დახვეწაში. აღნიშნული ინფორმაცია სისტემატურად მუშავდება, ანალიზდება და გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;

- o ინტერვიუების შედეგები;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დაწესებულების მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების მკაფიო შესაბამისობას; სემესტრებს შორის ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანმიმდევრულობას; თეორიული, პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული სწავლების ინტეგრირებას; კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას შესავალი დონიდან მოწინავე დონემდე; სწავლის შედეგების შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას; ასევე, დაინტერესებული მხარეების (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულები) ჩართულობას. წარმოდგენილი სილაბუსები გვიჩვენებს, რომ სასწავლო კურსები შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტიზებულ

სტრუქტურას, რომელიც მოიცავს სასწავლო კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასების კრიტერიუმებს, ყოველკვირეულ თემატიკას და სავალდებულო ლიტერატურას.

პროგრამა გაწერილია ექვს სემესტრზე და მოიცავს განვითარების რამდენიმე ეტაპს: საბაზისო ეტაპს (I–II სემესტრები), რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იძენენ აუცილებელ ცოდნას მათემატიკის, პროგრამირებისა და კომპიუტერული სისტემების საფუძვლებში; კომპიუტერული მეცნიერების ძირითად ეტაპს (III–IV სემესტრები), რომლის დროსაც სტუდენტები ივითარებენ ცოდნას ალგორითმების, მონაცემთა სტრუქტურების, პროგრამირების პარადიგმებისა და სისტემური დონის კონცეფციების მიმართულებით; და მოწინავე და გამოყენებით ეტაპს (V–VI სემესტრები), როდესაც სტუდენტები გადადიან რთულ თემებსა და გამოყენებით გამოთვლებზე.

პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. „ცოდნა და გაცნობიერების“ კატეგორიის სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1–3“, „კომპიუტერული ქსელები“, „მონაცემთა ბაზები 1–2“ და „მანქანური სწავლება“, რომლებიც სტუდენტებს სთავაზობს კომპიუტერული მეცნიერების ყოვლისმომცველ თეორიულ საფუძვლებს. თითოეული სილაბუსი მოიცავს შესაბამის თეორიულ კომპონენტებს (მაგალითად, დინამიკური პროგრამირება, გრაფთა თეორია, რელაციური ალგებრა, TCP/IP, ზედამხედველობითი სწავლება). „პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების“ კატეგორიის სწავლის შედეგების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამირების მიმართულების ყველა სასწავლო კურსი, რომლებიც მოიცავს ფართომასშტაბიან პრაქტიკულ სესიებს (თითოეული კურსის ფარგლებში 30–50 საათი), ყოველკვირეულ დავალებებსა და პროექტზე დაფუძნებულ შეფასებებს. ისეთი კურსები, როგორიცაა „ვებპროგრამირება (კლიენტის/სერვერის მხარე)“, „Linux-ის ოპერაციული სისტემის გარემო“, „Python“, „JVM“, „.NET“ და „მანქანური სწავლება“, სტუდენტებისგან მოითხოვს მოქმედი სისტემების, სკრიპტების ან მოდელების შექმნას. „პასუხისმგებლობისა და ავტონომიის“ კატეგორიის სწავლის შედეგებს მხარს უჭერს თითქმის ყველა სილაბუსი, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის შედეგები დამოუკიდებელი პრობლემების გადაჭრის, ეთიკური ქცევისა და ალგორითმების ან სისტემების დამოუკიდებლად შემუშავების მიმართულებით. გარდა ამისა, პროექტზე დაფუძნებული შეფასებები (მაგალითად, „მანქანური სწავლების“, „ვებპროგრამირების“, „.NET“-ისა და „JVM“-ის კურსებში) სტუდენტებისგან მოითხოვს საკუთარი ნამუშევრის დაგეგმვას, განხორციელებასა და წარდგენას/დაცვას.

პროგრამა ავლენს ვერტიკალურ პროგრესიას: საბაზისო პროგრამირებიდან ობიექტზე ორიენტირებულ პროგრამირებამდე და მრავალპარადიგმულ პროგრამირებამდე (Python, Java, C#); მარტივი ალგორითმებიდან მოწინავე მონაცემთა სტრუქტურებსა და გრაფულ ალგორითმებამდე, შემდეგ კი მანქანური სწავლების მეთოდებამდე; ვებტექნოლოგიების

საფუძვლებიდან სრული ციკლის ვებდეველოპმენტამდე (HTML/CSS/JS + PHP + მონაცემთა ბაზები); ოპერაციული სისტემების საფუძვლებიდან Linux-ის სკრიპტის შექმნასა და სისტემურ პროგრამირებამდე. პროგრამაში პროგრესია ლოგიკური და დაგროვებითი ხასიათისაა. საბაზისო სასწავლო კურსები (მაგალითად, „კალკულუსი 1“, „პროგრამირების შესავალი“, „კომპიუტერის ორგანიზაცია და არქიტექტურა“) სტუდენტებს აცნობს ძირითად კონცეფციებს, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიებთან, კომპიუტერის არქიტექტურასა და ალგორითმულ აზროვნებასთან. შუალედური დონის სასწავლო კურსები (მაგალითად, „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები 1-3“, „Linux-ის ოპერაციული სისტემის გარემო“, „მონაცემთა ბაზები და მართვის სისტემები 1-2“) აძლიერებს და აღრმავებს სტუდენტთა კომპეტენციებს ალგორითმების დაპროექტების, მონაცემთა მართვისა და ოპერაციული სისტემების მიმართულებით და პირდაპირ უწყობს ხელს პროგრამის იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიებისა და ალგორითმების შერჩევასა და განხორციელებასთან. მოწინავე და გამოყენებითი სასწავლო კურსები (მაგალითად, „მანქანური სწავლება“, „პროგრამული ინჟინერია“, „კიბერუსაფრთხოება“, „გამოყენებითი პროგრამირება“, „დარგობრივი პროექტი“, „საბაკალავრო ნაშრომი“) ავითარებს უფრო მაღალი დონის უნარებს, როგორცაა დამოუკიდებელი პრობლემების გადაჭრა, სისტემების დაპროექტება, კვლევა და პროფესიული კომუნიკაცია, რაც შეესაბამება პროგრამის იმ სწავლის შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ავტონომიურობასთან, გუნდურ მუშაობასა და ეთიკურ პრაქტიკასთან.

თუმცა, წარმოდგენილი სტრუქტურისა და სილაბუსების გარკვეული ელემენტები საჭიროებს გადახედვას:

- o MS Office: რეკომენდებული, სასწავლო კურსი საოფისე აპლიკაციები („Office Applications“) გადაიტანოთ არჩევით კომპონენტში, ვინაიდან აღნიშნული კურსით გათვალისწინებული საბაზისო ციფრული უნარები თანამედროვე სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უკვე ათვისებულია როგორც ზოგადი განათლების ფარგლებში, ისე დისტანციური სწავლების პერიოდში მიღებული პრაქტიკული გამოცდილებით. შესაბამისად, აღნიშნული კომპეტენციები არ წარმოადგენს ყველა სტუდენტისთვის უნივერსალურ სასწავლო საჭიროებას და შესაძლებელია მათი შეთავაზება პროგრამის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, პროგრამირებაზე, ქსელებზე, მონაცემთა ბაზებზე, ხელოვნურ ინტელექტსა და კიბერუსაფრთხოებაზე, რის ფონზეც საოფისე პროგრამების სავალდებულო კურსი ნაკლებ დამატებით ღირებულებას ქმნის, პროგრამის პროფესიული კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.
- o გრაფიკული პროგრამული პაკეტები (Graphic Software Packages): რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სასწავლო კურსის როლი და ადგილი პროგრამის ძირითად სასწავლო გეგმაში, ვინაიდან კურსი ისწავლება პირველ სემესტრში და მისი კავშირი პროგრამის სხვა ძირითად კომპონენტებთან მკაფიოდ არ იკვეთება.

- o ნეირონული ქსელები და მანქანური სწავლება: რეკომენდებულია, გადაიხედოს წინაპირობები სასწავლო კურსებისთვის - „ხელოვნური ინტელექტის შესავალი“ და „მანქანური სწავლება“. წარმოდგენილი სილაბუსის მიხედვით, კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნეირონული ქსელები, სწავლების ალგორითმები, გენეტიკური ალგორითმები, კლასიფიკაციის ამოცანები და ძიების მეთოდები, რომელთა ათვისებაც მოითხოვს სტუდენტის მიერ შესაბამისი მათემატიკური და ალგორითმული საფუძვლების ფლობას. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული თემები ისწავლება ზედაპირულ დონეზე და არ ეფუძნება ღრმა მათემატიკური აპარატის გამოყენებას; თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის აკრედიტაციის პერიოდში, კურსის შინაარსი შეესაბამებოდეს ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების თანამედროვე აკადემიურ და დარგობრივ მოთხოვნებს. გარდა ამისა, ICT-ის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტი მიეკუთვნება მეოთხე (ანალიზის) დონეს, რაც ნიშნავს, რომ მასზე მსჯელობა მხოლოდ მიმოხილვით დონეზე არ უნდა შემოიფარგლოს. შესაბამისად, სასურველია, წინაპირობები ითვალისწინებდეს სულ მცირე წრფივი ალგებრის, ალბათობის თეორიისა და პროგრამირების საფუძვლების ცოდნას.
- o მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები 1: რეკომენდებულია, გადაიხედოს წინაპირობები სასწავლო კურსისთვის - „მონაცემთა ბაზები და მართვის სისტემები“. სასურველია, წინაპირობად განისაზღვროს „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“, რაც უფრო მეტად შეესაბამება კურსის შინაარსსა და სტუდენტებისთვის საჭირო კომპეტენციებს. სილაბუსის ავტორმაც აღნიშნა, რომ აღნიშნულ კურსში სურს მონაცემთა სტრუქტურებთან დაკავშირებული საკითხების გაძლიერება.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს, ვინაიდან სასწავლო გეგმა მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების საერთაშორისოდ აღიარებული მიმართულებების უმეტესობას. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ხაზს უსვამს თეორიულ ცოდნას; პრაქტიკული განხორციელების უნარებს; პრობლემების გადაჭრისა და ალგორითმული აზროვნების შესაძლებლობებს; ეთიკურ და პასუხისმგებლიან პროფესიულ საქმიანობას; ასევე, გამოთვლითი გადაწყვეტილებების დაპროექტების, განხორციელებისა და შეფასების უნარს. სასწავლო კურსების შინაარსი და შეფასების მექანიზმები ხელს უწყობს აღნიშნული შედეგების მიღწევას. და ბოლოს, პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერებს.

ყველა სილაბუსში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის, ასევე, შეფასების განსხვავებული მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, მათში ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების პროცედურები;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის პროცედურები;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- o ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები.

- o R1.4.1: რეკომენდებულია, გადაიხედოს წარმოდგენილი სტრუქტურისა და სილაბუსების შემდეგი ელემენტები:
 - o **MS Office:** რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საოფისე აპლიკაციები („Office Applications“) გადაიტანოთ არჩევით კომპონენტში.
 - o **გრაფიკული პროგრამული პაკეტები (Graphic Software Packages):** რეკომენდებულია, დაზუსტდეს აღნიშნული სასწავლო კურსის როლი და ადგილი პროგრამის ძირითად სასწავლო გეგმაში, ვინაიდან კურსი ისწავლება პირველ სემესტრში და მისი კავშირი პროგრამის სხვა ძირითად კომპონენტებთან მკაფიოდ არ იკვეთება.
 - o **ნეირონული ქსელები და მანქანური სწავლება:** რეკომენდებულია, განისაზღვროს შესაბამისი წინაპირობები ნეირონულ ქსელებსა და მანქანურ სწავლებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსებისთვის.
 - o **მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები 1:** რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობები.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
 - ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
 - სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსების სტრუქტურა, შინაარსი და კრედიტების განაწილება შემუშავებულია, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მიერ კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სილაბუსი განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, რომლებიც ფორმულირებულია ცოდნისა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიის მიმართულებებით; ECTS კრედიტების განაწილებას, ინსტიტუციური წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც 1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს; საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების განაწილებას, სადაც საკონტაქტო საათების რაოდენობა, როგორც წესი, შეადგენს 48–80 საათს 5-კრედიტიანი სასწავლო კურსებისთვის და 50 საათს 4-კრედიტიანი სასწავლო კურსებისთვის; ასევე, შეფასების სისტემებს, რომლებიც განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს თეორიული კითხვების, პრაქტიკული დავალებების, შუალედური გამოცდების, დასკვნითი გამოცდების და პროექტული სამუშაოების ერთობლიობის საფუძველზე. სასწავლო გეგმის ფარგლებში, სასწავლო მასალის მოცულობა და სირთულე შეესაბამება მინიჭებულ კრედიტებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმები არის დეტალური, გამჭვირვალე და კომპეტენციებზე დაფუძნებული.

პროგრამა უზრუნველყოფს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შესაბამისობას, კურსის დონეზე განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის საერთო შედეგებს შორის. აღნიშნული შესაბამისობა დადასტურებულია დანართი 2 - ით – „სწავლის შედეგების რუკა“, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული სწავლის შედეგების შესავალი დონის (I), გაღრმავების დონის (R) ან განმტკიცების დონის (E) მიღწევა, ასევე, დანართი 4-ით – „სწავლის შედეგების შეფასება“, რომელიც კურსის ინდიკატორებს აკავშირებს შეფასების მეთოდებსა და აკადემიურ კურსებთან. რუკა აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს რამდენიმე სასწავლო კურსს. არცერთი სწავლის შედეგი არ არის განყენებული და არცერთი სასწავლო კურსი არ მოიცავს ისეთ შედეგებს, რომლებიც პროგრამის ფარგლებს სცდება.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები შესაბამისია როგორც კურსის, ისე პროგრამის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგებთან. აღნიშნული მასალები შეესაბამება

თანამედროვე კომპიუტერული მეცნიერების განათლებისთვის საჭირო კომპეტენციებს. ისინი სათანადოდ უწყობს ხელს როგორც თეორიული ცოდნის ჩამოყალიბებას, ისე პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარებას. ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნულ მასალებზე ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკის, ელექტრონული რესურსებისა და ლაბორატორიული გარემოს მეშვეობით. თუმცა, სასურველია, გადაიხედოს რეკომენდებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და გამდიდრდეს უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოებითა და წყაროებით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში პროგრამის მე-9 სწავლის შედეგის ასახვისა და შეფასების მექანიზმების გადახედვა და დაზუსტება. პროგრამის დონეზე, აღნიშნული სწავლის შედეგი უზრუნველყოფილია რამდენიმე სასწავლო კურსით, თუმცა რიგი სილაბუსების შემთხვევაში მისი ასახვა სასწავლო აქტივობებსა და შეფასების მექანიზმებში საკმარისად მკაფიოდ არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, სასწავლო კურსებში „მონაცემთა ბაზები და მართვის სისტემები 1 და 2“, „პროგრამირება .NET პლატფორმაზე“, „ვებ-პროგრამირება (სერვერული მხარე)“, „პროგრამირება JVM პლატფორმაზე“ არ არის განსაზღვრული გუნდური მუშაობის შეფასების მექანიზმები და ინდივიდუალური კონტრიბუციის შეფასების კრიტერიუმები.

ასევე, რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კომპიუტერული ქსელები“ თემების თანმიმდევრობის გადახედვა OSI მოდელის ლოგიკური სტრუქტურის შესაბამისად, რათა სწავლება განხორციელდეს თანმიმდევრული მიდგომით - ქვედა (პირველი ფენა) ფენიდან ზედა (მეშვიდე ფენა) ფენების მიმართულებით (ფიზიკური ფენიდან გამოყენებით ფენამდე). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ქსელური პროცესების უფრო სისტემური და თანმიმდევრული გააზრების განვითარებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსში ძირითადი ლიტერატურაც იმავე პრინციპით არის სტრუქტურირებული და მიჰყვება OSI მოდელის ფენობრივ და თანმიმდევრულ ორგანიზებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სწავლების ლოგიკურ და ეტაპობრივ მიდგომას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები.

- o R1.5.1: რეკომენდებულია, გარკვეულ სილაბუსებში შეფასების ინსტრუმენტები უფრო მეტად დაზუსტდეს და გაძლიერდეს, რათა მკაფიოდ აისახოს გუნდური მუშაობის კომპეტენციის შეფასება და მისი შესაბამისობა პროგრამის მე-9 სწავლის შედეგთან.
- o R1.5.2: კომპიუტერული ქსელების სასწავლო კურსი: რეკომენდებულია, თემების თანმიმდევრობა გადაიხედოს OSI მოდელის ლოგიკური სტრუქტურის შესაბამისად - პირველი ფენიდან მეშვიდე ფენამდე.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o S1.5.1: სასურველია, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა გამდიდრდეს უფრო თანამედროვე სახელმძღვანელოებითა და აკადემიური წყაროებით.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<u>1.5. სასწავლო კურსი/საგანი</u>	მეტწილად შესაბამისობაშია

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შემოთავაზებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების თვალსაზრისით, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ზოგადად აღიარებული დაშვების პროცედურებით. მიღების მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთი აბიტურიენტების ჩარიცხვას, რომლებსაც

გააჩნიათ პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. აღნიშნულ მოთხოვნებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

დაშვების წინაპირობები და პროცედურები მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის დოკუმენტაციაში და აკრედიტაციის მიღების შემდეგ, გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, მიღებული კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, მოიპოვებენ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში სწავლის უფლებას.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, აპლიკანტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ბ) უცხოური ენა (ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული);

გ) მათემატიკა/ფიზიკა (თითოეული საგნისთვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განისაზღვრება ადგილების გამოცხადებამდე).

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ზღვარის გადალახვას.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის უფლება ენიჭებათ პირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ასეთი აპლიკანტები ვალდებული არიან, „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, დაადასტურონ ქართული ენის ფლობის B2 დონე.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტუდენტების მიღებას მობილობის პროცედურების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გადასვლის წესებსა და საფასურებს.

მიღების მოთხოვნები სათანადოდ ასახავს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს გააჩნდეთ პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის აუცილებელი აკადემიური მომზადება, კომპეტენციები და უნარები.

რამდენადაც პროგრამა ახალია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე გეგმავს 30 სტუდენტის მიღებას. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა შესაბამისი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით „სტუდენტთა მიღების დაგეგმვის მეთოდოლოგია“. სტუდენტთა მიღების დაგეგმვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას. დაგეგმვის პროცესი ასევე მოიცავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, მათ შორის, პროგრამაზე მოთხოვნის ტენდენციებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მაჩვენებლებს და სხვა შესაბამის ფაქტორებს.

დაშვების მოთხოვნები, პროცედურები და სტუდენტთა ჩარიცხვის დაგეგმვის მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, გამჭვირვალეა და შეესაბამება როგორც ეროვნულ რეგულაციებს, ისე უნივერსიტეტის რეგულაციებს, პროგრამის ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის რეგულაციები;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი.
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის დონისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, დიდწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ასევე, მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი შემუშავებულია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიხედვით და შეესაბამება სწავლის შესაბამის დონეს. იგი ხორციელდება როგორც ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკული დავალებებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების საშუალებით, ასევე, სავალდებულო დასკვნითი სემესტრის სასწავლო კურსის - „პროექტი სპეციალობაში“- ფარგლებში. აღნიშნული კურსის მიზანია, გააძლიეროს და განავითაროს სტუდენტების შესაძლებლობა, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულ კონტექსტში რთული პრობლემების გადასაჭრელად და რეალურ გარემოში პროექტების განსახორციელებლად.

კურსი ითვალისწინებს როგორც აკადემიურ ხელმძღვანელთან საკონსულტაციო საათებს, ასევე, პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტებს. ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტებმა ვერ შეძლეს პრაქტიკული პროექტებისა და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა საქმიანობის შეფასების ფორმების განხილვა.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. აღნიშნული ხელშეკრულებები განსაზღვრავს სტუდენტთა რაოდენობას, ასევე, პრაქტიკული სწავლების მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და ხანგრძლივობას. დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები მოწმობს, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან, იცნობენ პროგრამას და ჩართულნი იყვნენ მისი შემუშავების პროცესში.

მათი რეკომენდაციების საფუძველზე, გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტები, მათ შორის, არჩევით სასწავლო კურსებში მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის დამატებისა და სხვა შესაბამისი გაუმჯობესებების განხორციელებით. გამოკითხული ხუთი დამსაქმებლიდან ორმა

დაადასტურა სტუდენტების პრაქტიკაზე მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით, სისტემებისა და ქსელური ინჟინერიის მიმართულებით.

ვინაიდან პროგრამა კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებას განეკუთვნება, სასურველია, უნივერსიტეტმა გააფართოოს დამსაქმებელთა ქსელი, რათა სტუდენტებს შესთავაზოს დასაქმების უფრო ფართო შესაძლებლობები, განსაკუთრებით, პროგრამული ინჟინერიის, ხელოვნური ინტელექტის, კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებებით.

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტური ინიციატივების კონკურსს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე წელს დაფინანსდა სამი პროექტი.

სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების მიმართულებით, პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს „აკადემიური წერა“. კურსი ძირითადად ორიენტირებულია აკადემიური წერის უნარების, ტექსტის აგების, არგუმენტაციის, კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კურსი ხელს უწყობს აკადემიური წერისა და ანალიტიკური უნარების გაძლიერებას, მისი შინაარსი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის სრულ ციკლს. სილაბუსში შეზღუდულად არის წარმოდგენილი კვლევის დიზაინის, ემპირიული კვლევის მეთოდების გამოყენებისა და მონაცემთა ანალიზის კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია კვლევითი კომპეტენციების სისტემური განვითარებისთვის.

სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარების თვალსაზრისით, პროგრამა ასევე მოიცავს სავალდებულო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მისი შესრულება ძირითადად ეფუძნება სტუდენტური პროექტის ფორმატს, რომელიც შემდგომ აისახება აღწერით ანგარიშში.

კვლევითი კომპეტენციების ამომწურავი ინტეგრაციისთვის, სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს კვლევის მეთოდოლოგიისა და გამოყენებითი კვლევის კომპონენტები.

შეფასების პროცესის ფარგლებში, ექსპერტებმა გამოითხოვეს სხვა დისციპლინის საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც სრულად იყო შესრულებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სილაბუსითა და ინსტიტუციური რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მიზნით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ საკუთარი

სამეცნიერო ნაშრომები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აწყო სხვადასხვა სტუდენტურ კონკურსებსა და საზაფხულო სკოლებს, რომლებიც სრულად ფინანსდება. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს აკადემიური პერსონალის შიდა საგრანტო პროექტებს, რომელთა ერთ-ერთ სავალდებულო მოთხოვნას სტუდენტების ჩართულობა წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- o უნივერსიტეტის რეგულაციები;
- o უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o მემორანდუმები;
- o ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები.](#)

არ ეხება

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- o S2.2.1: სასურველია, გაფართოვდეს პრაქტიკის ობიექტების ქსელი კომპიუტერული მეცნიერების ძირითადი მიმართულებების მიხედვით.
- o S2.2.2: სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლის იმგვარ მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსსა და დასახულ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის კომპონენტებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ორიენტირებულია შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს სწავლებისა და სწავლის თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებს, რაც მიმართულია მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესზე და ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სწავლების მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარება. სასწავლო კურსის სტრუქტურა შეესაბამება თითოეული დისციპლინის სპეციფიკას. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში, დაგეგმილი სწავლებისა და სწავლის მეთოდები და აქტივობები მიზნად ისახავს სტუდენტთა ჩართულობას და საჭირო უნარების განვითარებას.. სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს უნარების უწყვეტ განვითარებასა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენის მხარდაჭერას. პროგრამაში გამოიყენება აქტიური სწავლების მეთოდები, როგორიცაა ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ელექტრონულ რესურსებზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზი, სინთეზი, პრაქტიკული მეცადინეობები, თანამშრომლობითი სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება და სხვა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს როგორც ჯგუფურ, ისე ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობას (საპროექტო დავალებებს).

საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები, ისევე როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ადაპტირდება სტუდენტების ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონესთან, მათი სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. საერთაშორისო სტუდენტების შემთხვევაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების შემუშავებისას ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებს (საჭიროებებს).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- o უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება- სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (დებულების) თანახმად, სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად და დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება შეფასების კომპონენტების – მიმდინარე და დასკვნითი შეფასებების საშუალებით, რომელთა ჯამიც შეადგენს საბოლოო ქულას. აკადემიური კურსისთვის მაქსიმალურ შეფასებად განისაზღვრება 100 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) დადებითი სახის ხუთ შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41–50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი (სასწავლო კურსი) ხელახლა აქვს სასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დამატებით გამოცდაზე. სტუდენტს ასევე უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მას საბოლოო შეფასებაში დაგროვილი აქვს 51 ან მეტი ქულა, თუმცა ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღის ვადაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა საბოლოო და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ჯამურ შეფასებაში.

მიმდინარე შეფასება შედგება რამდენიმე კომპონენტისგან, რომელთა შინაარსსა და ხვედრით წილს (პროცენტულობას) განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი სილაბუსის შესაბამისად.

დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად აუცილებელია მიმდინარე შუალედური შეფასების დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვა, ხოლო გამოცდის წარმატებით დასრულებისათვის საჭიროა დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მიღწევა.

მინიმალური ზღვრებია:

- მიმდინარე შეფასების ჯამური ქულის 42%.
- დასკვნითი გამოცდის ქულის 50% + 1;

საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სილაბუსით შეიძლება განისაზღვროს (დადგინდეს) უფრო მაღალი ზღვარიც.

კრედიტის მინიჭება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრების გადალახვის შემდეგ, სტუდენტის ჯამური ქულა შეადგენს 51-ს ან მეტს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დებულება) ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, საკუთარი ელექტრონული პორტალის საშუალებით, სტუდენტებს წვდომა აქვთ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსზე, სადაც დეტალურად არის აღწერილი კონკრეტული კურსის ფარგლებში მოქმედი შეფასების კრიტერიუმები.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს მრავალფეროვან შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც განკუთვნილია სწავლის შედეგების შესაფასებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები:

- წერიტი დავალება;
- ტესტი
- ღია კითხვა / თეორიული საკითხი / ესე;
- მოსმენილის გააზრება;
- ზეპირი გამოცდა / წერიტი გამოცდა / მონოლოგი;
- უცხოენოვანი ტექსტის შინაარსის გადმოცემა (თხრობა) / ანალიზი;
- განხილვა/დებატი;
- შემთხვევის ანალიზი / სიტუაციური ანალიზი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება / სავარჯიშო / პრაქტიკული სამუშაო;
- ქვიზი;
- საშინაო დავალება;
- შემაჯამებელი დავალება;
- პროექტის / ნაშრომის / მოხსენების (ანგარიშის) მომზადება და პრეზენტაცია;
- რეალურ გარემოში კოდის წერა (კოდირების უნარების დემონსტრირება).

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია კონკრეტული კურსისათვის რელევანტური შეფასების მეთოდები და მოცემულია შეფასების კრიტერიუმებისა და მათი რაოდენობრივი განაწილების დეტალური აღწერა.

პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „საბაკალავრო ნაშრომის მომზადების წესი“ (დებულება), რომელიც შეიცავს ინფორმაციას ნაშრომის მომზადების პროცედურების, ხელმძღვანელის შერჩევის, რეცენზირების, დაცვის პროცედურებისა და შეფასების ფორმების შესახებ. ხსენებული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისათვის. ყველა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც შესაძლოა სტუდენტებისთვის საინტერესო იყოს, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე დეტალურად შევისწავლეთ სტუდენტთა სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისათვის განკუთვნილი პლატფორმა, სადაც ატვირთულია და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებიც მოიცავს შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ისინი მუდმივად იღებენ როგორც ზეპირ, ისე წერილობით უკუკავშირს საკუთარი ძლიერი მხარეებისა და იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევის ეთიკისა და პლაგიატის პრევენციის პოლიტიკა. დაწესებულება ხელს უწყობს აკადემიური წერის კულტურის განვითარებას; პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. აგრეთვე, პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების გაცნობის მიზნით, უსდ მართავს საინფორმაციო შეხვედრებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო/კვლევითი პერსონალისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის. სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეთიკურად წარმართვის მიზნით, დაწესებულება იყენებს ელექტრონულ პროგრამას - StrikePlagiarism.com.

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. უნივერსიტეტის საგამოცდო დებულების თანახმად, სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ როგორც წერითი, ისე ზეპირი გამოცდების შედეგები. გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტს აქვს უფლება მიმართოს საგამოცდო ცენტრს საკუთარი საგამოცდო ნაშრომის ნახვის (გადახედვის) მოთხოვნით და საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით, დაუკავშირდეს კურსზე პასუხისმგებელ ლექტორს.

თუ საგამოცდო ნაშრომის ნახვის (რომელსაც სტუდენტს საგამოცდო ცენტრი წარუდგენს) და ლექტორთან განხილვის შემდეგ, სტუდენტი მიიჩნევს, რომ ნამუშევარი არასწორად შეფასდა, მას უფლება აქვს, იმავე დღეს გაასაჩივროს ნიშანი, წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

სტუდენტს ასევე უფლება აქვს, ზეპირი გამოცდის შედეგის შეტყობინებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული ქულა, წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

სააპელაციო საჩივრის შემთხვევაში, იქმნება სააპელაციო კომისია. კომისია ვალდებულია სტუდენტის ნამუშევარი განიხილოს ორი სამუშაო დღის ვადაში. შედეგის შეცვლის ან

უცვლელად დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია საგამოცდო ცენტრს წარუდგენს დასაბუთებულ დასკვნას.

ვინაიდან ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, დაწესებულებამ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და ინდიკატორები. დაწესებულებამ ასევე წარადგინა გასული სასწავლო წლის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება და აკადემიური მოსწრების ანალიზი.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა არ მოიცავს დისტანციური სწავლების კომპონენტებს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „დისტანციური სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების დებულება“.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად; პროცესი სამართლიანია ყველა სტუდენტის მიმართ - არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები ადასტურებს მათ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან. ისინი ამომწურავად არის აღწერილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ინტერვიუების მსვლელობისას, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი უწყვეტად (მუდმივად) იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების კრიტერიუმებისა და ყველა სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სილაბუსები მათთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული პორტალის საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში, მათ დამოუკიდებლად ეცნობიან.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები შესახებ. ისინი წინასწარ არიან ინფორმირებულნი საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ. ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ მოთხოვნებს. სხვა პროგრამების ფარგლებში შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების გაცნობამ, ასევე დაადასტურა დადგენილი მოთხოვნების თანმიმდევრული გამოყენება.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საგამოცდო შედეგების გასაჩივრების პროცედურებისა და შესაძლებლობების შესახებ და იცნობენ შესაბამის მექანიზმებს. ისინი ასევე ფლობენ

ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პლაგიატის პრევენციის მექანიზმების შესახებ, რაც დადასტურდა კიდევ ინტერვიუებისას.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და აკადემიური მოსწრების ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულება დიდ ყურადღებას აქცევს აღნიშნულ საკითხებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისთვის შემუშავებული შეფასების სისტემა მოიცავს დადგენილ პროცედურებს, არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- o შპსევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების დებულება;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და შეფასების დებულება;
- o ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დებულება;
- o პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და მათზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- o დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მითითებები;
- o დისტანციური სწავლების პერიოდში საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების დებულება;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მხარდაჭერისა და კონსულტაციის მრავალფეროვან სერვისებს. დაწესებულებაში შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ხელს უწყობენ სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის წარმომადგენლები მართავენ შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მიაწოდონ მათ ძირითადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და არსებული სტუდენტური სერვისების შესახებ.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პლატფორმა (eunsis.unik.edu.ge), რომლის მეშვეობითაც სტუდენტები იღებენ სწავლასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი განცხადებები და სიახლეები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი მიმდინარე აქტივობებისა და შესაძლებლობების შესახებ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია საკონსულტაციო საათები, როცა სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია ლექტორებისგან აკადემიურ მოსწრებასთან, სწავლის შედეგებთან და მათთვის სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია კარიერული განვითარების სერვისების შექმნაზე, რაც მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიულ ზრდას. ცენტრი აქტიურად მუშაობს დამსაქმებლებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაზე და ხელს უწყობს სტუდენტების ადაპტაციას საგანმანათლებლო გარემოსთან. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, ცენტრი სხვადასხვა სახის აქტივობებს ახორციელებს. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდება შეხვედრები და ტრენინგები კარიერულ განვითარებაზე, სამუშაო გასაუბრებებზე, რეზიუმეს (CV) მომზადებასა და პრეზენტაციის უნარებზე. უნივერსიტეტი ასევე აწყობს დასაქმების ფორუმებს. მაგალითად, გასული წლის აპრილში უნივერსიტეტში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელშიც 35 კომპანია მონაწილეობდა და სტუდენტებს დაახლოებით 350 ვაკანსია შესთავაზა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციის სერვისებზე და იღებენ პერსონალურ მხარდაჭერას, რომელიც მორგებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და კარიერულ მიზნებზე.

უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების კულტურულ და სოციალურ ჩართულობას, სხვადასხვა ინტერკულტურული, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზების გზით. აღნიშნული ინიციატივები მოიცავს კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას, ადამიანის უფლებების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებასა და საგანმანათლებლო ექსკურსიებში სტუდენტების მონაწილეობის წახალისებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას, ინტერკულტურულ კომუნიკაციასა და აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს და პარტნიორობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან. უსდ-ს საერთაშორისო ქსელი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, ერთობლივ კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებში. უნივერსიტეტი ასევე აქტიურად არის ჩართული Erasmus+ პროგრამებში, რაც კიდევ უფრო აფართოებს საერთაშორისო მობილობისა და ქმნის გლობალურ აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტის გამორჩეულ საერთაშორისო პარტნიორებს შორის არის სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი), მალაგის უნივერსიტეტი (ესპანეთი), ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი (ლიეტუვა), პანონიის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ტიმიშუარას დასავლეთ უნივერსიტეტი (რუმინეთი), კლაიპედას უნივერსიტეტი (ლიეტუვა), კალიფორნიის ბაპტისტური უნივერსიტეტი (აშშ), PXL გამოყენებით მეცნიერებათა და

ხელოვნების უნივერსიტეტი (ბელგია), სტამბოლის გელიშიმის უნივერსიტეტი (თურქეთი) და საერთაშორისო ბალკანური უნივერსიტეტი (ჩრდილოეთ მაკედონია).

სტუდენტები მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გაცვლით პროგრამებში, ასევე მოკლევადიან მობილობებში. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად სარგებლობდნენ ამ შესაძლებლობებით. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რომლებიც მონაწილეობენ Erasmus+ KA171 საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამაში. 2025 წელს პროგრამაში ჩართული იყო 41 უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთა უმრავლესობაც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს კომპიუტერულ მეცნიერებაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და კომპიუტერულ ინჟინერიაში.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად, სხვადასხვა თემატური მიმართულებით, აორგანიზებს სამეცნიერო კონფერენციებს, სადაც სტუდენტებს ეძლევათ მონაწილეობის შესაძლებლობა. კონფერენციის პროგრამები ადასტურებს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი და რეგულარულად მონაწილეობენ აღნიშნულ ღონისძიებებში.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა. ინფორმაცია საპროექტო განაცხადების მიღების (კონკურსების) შესახებ რეგულარულად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. 2026 წელს, აღნიშნული კონკურსის ფარგლებში, დასაფინანსებლად სამი სტუდენტური პროექტი შეირჩა. სტუდენტური ინიციატივების კონკურსის მიზანია სტუდენტების იდეებისა და აქტივობების მხარდაჭერა. დასაშვები პროექტების კატეგორიები მოიცავს სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ინოვაციურ, კვლევითსა და ტექნოლოგიურ ინიციატივებს, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი იდეები პრაქტიკაში განახორციელონ.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი კარად იცნობენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი როგორც კარიერული განვითარების ღონისძიებებში, ისე საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებულ ინიციატივებში. სამეცნიერო კონფერენციებთან მიმართებით, აღინიშნება მონაწილეობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი; შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართულებით, სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით.

წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კონსულტაციებისა და მხარდაჭერის სერვისების ფართო სპექტრს, რაც დაკავშირებულია აკადემიურ მოსწრებასთან, სასწავლო პროცესის ეფექტურ დაგეგმვასა და კარიერულ

განვითარებასთან. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ მრავალფეროვან საგანმანათლებლო, კვლევით, საერთაშორისო და კლასგარეშე (არაფორმალურ) აქტივობებში, რომელთა შესახებაც ისინი სისტემატურად იღებენ შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციებს როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, ისე უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტების აკადემიურ წარმატებას, პროფესიულ განვითარებასა და უნივერსიტეტის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o სამუშაოს აღწერილობები;
- o თანამშრომლობის ხელშეკრულებები და ურთიერთგაგების მემორანდუმები;
- o დებულება სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ;
- o სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები;
- o უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტები;
- o სტუდენტების მონაწილეობის სტატისტიკა გაცვლით პროგრამებში;
- o დებულება ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;
- o Moodle-ის ელექტრონული სასწავლო პლატფორმა, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მასალებისთვის: <http://unikmoodle.ge/>;
- o უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o S3.1.1 სასურველია, გაძლიერდეს ცნობიერების ამაღლებისა და მოტივაციის ღონისძიებები, სტუდენტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის წახალისების მიზნით, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აკადემიურ აქტივობებში.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

**3.1 სტუდენტთა
საკონსულტაციო და
მხარდაჭერის სერვისები**

შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ შესაბამისი აკადემიური, კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის, 9 აკადემიური პერსონალი და 15 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიურ პერსონალს შორის არის 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით,

სამეცნიერო პუბლიკაციებით, კვლევითი საქმიანობითა და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილებით. პერსონალის შერჩევა და რეკრუტირება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა და იყენებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად განხორციელებას. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებში სასწავლო საათების არანაკლებ 51% უნდა განხორციელდეს აკადემიური პერსონალის მიერ. აღნიშნული მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტაბილურ და ეფექტურ წარმართვას.

რაოდენობრივი მაჩვენებლები, მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, დატვირთვის განაწილება და პერსონალის ჩართულობა სასწავლო პროცესში, ადასტურებს, რომ პროგრამას გააჩნია საკმარისი აკადემიური და ადამიანური რესურსი მისი ეფექტური განხორციელებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მაქსიმალურ აკადემიურ დატვირთვას თითოეული აკადემიური თანამდებობისთვის და ასევე, მოიცავს სტუდენტებთან კონსულტაციის საათებს. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის განვითარების პროცესებში, რაც მოიცავს კურიკულუმის დაგეგმვას, სასწავლო კურსების წინაპირობების განსაზღვრას, კურსის თემატიკისა და სწავლის შედეგების შემუშავებას, ასევე, სწავლება-სწავლის რესურსების შერჩევას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის უწყვეტი განვითარებისა და შეფასების პროცესში. მათი ჩართულობა მოიცავს მონაწილეობას კომიტეტის სხდომებში, პროგრამის განხილვებსა და შეფასების პროცესებში, რომლებიც უკავშირდება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებსა და კურიკულუმის სტრუქტურას. ხდება პერსონალის გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის გაანალიზება, რომელიც გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას და პერსონალის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის განვითარების ღონისძიებებში.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობენ ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი მიხეილ გაგოშიძე და პროფესორი ბესიკ ტაბატაძე. პროგრამის ორივე ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია, პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები და პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება კომპიუტერული მეცნიერების, გამოყენებითი მათემატიკის,

პროგრამირების, ხელოვნური ინტელექტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. მათი აკადემიური და პროფესიული საქმიანობა ადასტურებს, რომ მათ შესწევთ უნარი, ეფექტურად უხელმძღვანელონ პროგრამის განხორციელებასა და მის უწყვეტ განვითარებას.

პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის შემუშავების, განხორციელების, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესებში. ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ისინი ზედამხედველობენ აკადემიური საქმიანობის განხორციელებას, მხარს უჭერენ სტუდენტებს აკადემიური კონსულტაციებისა და კლასგარეშე (ექსტრაკურიკულური) აქტივობების საშუალებით, და წვლილი შეაქვთ პროგრამის ეფექტურ მართვასა და უწყვეტ გაუმჯობესებაში.

საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს მხარს უჭერს საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენციები შეესაბამება მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერენ ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების პერსონალი, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლები, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თანამშრომლები, ბიბლიოთეკის პერსონალი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენლები. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს ეფექტურ აკადემიურ და ორგანიზაციულ დახმარებას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და წარმატებულ განხორციელებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	24	13	9	5
- პროფესორი	3	-	3	1
- ასოცირებული პროფესორი	5	1	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	1	-	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	15	12	1	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების რაოდენობა			

- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო განვითარების მხარდასაჭერად. ინტერვიუებისა და თანმხლები დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტი ქმნის ხელსაყრელ აკადემიურ და კვლევით გარემოს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჩართულობას სამეცნიერო საქმიანობაში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და პროფესიული განვითარების სხვადასხვა ინიციატივაში.

ანალიზმა აჩვენა, რომ აკადემიური პერსონალის შეფასება წინასწარ განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი კრიტერიუმების საფუძველზე ხდება, ხოლო შესაბამისი კვლევითი შედეგების მიღწევის შემთხვევაში, მათთვის გათვალისწინებულია ფინანსური წახალისების მექანიზმები. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მიზნობრივ ფინანსურ რესურსებს გამოყოფს სამეცნიერო საქმიანობის, კვლევითი პროექტებისა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მხარდასაჭერად. სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი აქტიურად უჭერს მხარს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციების, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით. გარდა ამისა, ცენტრი უზრუნველყოფს საინფორმაციო მხარდაჭერას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, საგრანტო კონკურსების, სტიპენდიების, სამეცნიერო პუბლიკაციების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის მეთოდოლოგიების შესახებ. გამოკითხული პერსონალი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას. გარდა ამისა, იგი მხარს უჭერს საპროექტო განაცხადების მომზადებასა და საგამომცემლო საქმიანობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პერსონალის კვლევით პოტენციალსა და აკადემიურ პროდუქტიულობას.

ანალიზმა დამატებით აჩვენა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი პერსონალის შეფასების სისტემა კომპლექსურია და ეფექტიანად უკავშირდება მათ პროფესიულ განვითარებას, მოტივაციასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ შეფასების პროცესი მოიცავს სასწავლო საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების, აუდიტორიული მუშაობისა და აკადემიური ვალდებულებების შესრულების ანალიზს. შეფასების პროცესში ჩართულნი არიან სტუდენტები, პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი. შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, საპასუხო ღონისძიებების დასაგეგმად და ფინანსური თუ არაფინანსური წახალისების სხვადასხვა მექანიზმის დასაწერად. გარდა ამისა, სალექციო პროცესზე დაკვირვების პროცედურები ხელს უწყობს საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის გამოვლენასა და გაზიარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ჩატარებულმა ინტერვიუებმა და შესწავლილმა მტკიცებულებებმა ასევე დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას. აღნიშნული ხორციელდება პროფესიული განვითარების უწყვეტი ინიციატივების მეშვეობით, რომლებსაც ორგანიზებას უწევს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი. აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც ეძღვნება სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ონლაინ სასწავლო პლატფორმებს. ასევე, ტრენინგები მოიცავს ისეთ აქტუალურ თემებს, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, მედიაწიგნიერება, ემოციური ინტელექტი, ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიები და აკადემიური კეთილსინდისიერება. ტრენინგ-მოდულები უწყვეტად ახლდება პერსონალის საჭიროებების ყოველწლიური შეფასებისა და უმაღლესი განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს უნივერსიტეტის აქტიურ ინტერნაციონალიზაციასა და პარტნიორულ თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ და აკადემიურ განვითარებაში. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან, ერაზმუს+ პროგრამისა და სხვა საერთაშორისო ინიციატივების ფარგლებში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში, აგრეთვე, მართავს სამუშაო შეხვედრებს პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. გარდა ამისა, საერთაშორისო ექსპერტები და პროფესორები რეგულარულად ატარებენ ლექციებს, სამუშაო შეხვედრებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს უნივერსიტეტის პერსონალისთვის. აღნიშნული ინიციატივები ხელს უწყობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებასა და სასწავლო თუ კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

შესწავლილმა მტკიცებულებებმა დამატებით აჩვენა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს საერთაშორისო კვლევითსა და ინოვაციურ პროექტებში მონაწილეობას. კერძოდ, ერაზმუს+ ინიციატივებში, „ჟან მონეს“ (Jean Monnet) პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და ინსტიტუციურ თანამშრომლობის პროექტებში მონაწილეობა ხელს უწყობს ინსტიტუციური კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას და აკადემიური თუ სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას.

ჩატარებული ინტერვიუები და შესწავლილი მტკიცებულებები ადასტურებს უნივერსიტეტის მტკიცე ინსტიტუციურ მზაობას, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის უწყვეტი პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების დებულება;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგებისა და სემინარების რაოდენობა.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<u>4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</u>	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას გააჩნია განახლებული და ზოგადად კარგად განვითარებული სასწავლო, სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ხელს უწყობს კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. დადგინდა, რომ

უნივერსიტეტის სასწავლო გარემო, ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები მეტწილად შეესაბამება თანამედროვე უმაღლესი განათლების მოთხოვნებსა და პროგრამის საჭიროებებს.

ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეების, ასევე, განახლებული და სათანადოდ აღჭურვილი სალექციო აუდიტორიების, კომპიუტერული კლასების, საკონფერენციო დარბაზების, საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურისა და სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი სივრცეების არსებობა. აუდიტორიები და კომპიუტერული ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორებითა და სხვა საჭირო სასწავლო რესურსებით, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიანად წარმართვისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და პრაქტიკული სწავლების გარემოს. დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც სპეციალურად არის განკუთვნილი კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მხარდაჭერისთვის. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფით, რაც აუცილებელია პროგრამირების, მონაცემთა ანალიზისა და ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის. არსებული ინფრასტრუქტურა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, იმუშაონ პრაქტიკულ დავალებებსა და პროექტებზე ისეთ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებულია რეალურ სამუშაო პირობებსა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან.

ამავდროულად, სტუდენტთა დაგეგმილი წლიური კონტინგენტის (დაახლოებით 30 სტუდენტი) გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა პროგრამის განხორციელების პროცესში კიდევ უფრო გააძლიეროს და გააფართოოს არსებული ინფრასტრუქტურა. კერძოდ, ამჟამად, არსებულმა 15 - მა მაღალი წარმადობის კომპიუტერმა სამომავლოდ შესაძლოა წარმომშვას გამოწვევები ისეთ საგნებთან დაკავშირებული რესურსტევადი პროგრამული უზრუნველყოფისა და პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისით, როგორებიცაა AutoCAD, ArchiCAD, კიბერუსაფრთხოება და კომპიუტერული ქსელები. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დანარჩენი კომპიუტერული ლაბორატორიებით ერთობლივად სარგებლობენ უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამის სტუდენტები. შესაბამისად, სპეციალიზებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიური რესურსებისა და მიზნობრივი პრაქტიკული სწავლების სივრცეების შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს პროგრამის გრძელვადიან მდგრადობასა და პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიან განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში დამატებით დადასტურდა უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირება, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და ორგანიზებული შეფასების პროცესების წარმართვას. ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სათანადო სამუშაო პირობებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ხოლო სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი სივრცეები ქმნის მხარდამჭერ გარემოს კოლაბორაციული სწავლების, გუნდური მუშაობის, პროექტებზე დაფუძნებული აქტივობებისა და აკადემიური დისკუსიებისათვის.

ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადასტურდა, რომ საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები არის ყოვლისმომცველი და ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკა ძირითადად უზრუნველყოფს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ელექტრონულ ვერსიებს. ვიზიტის ფარგლებში დამატებით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის სისტემა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მოიძიონ არსებული ლიტერატურა, მიიღონ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ეგზემპლარების შესახებ და განსაზღვრონ საბიბლიოთეკო რესურსების ფორმატი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზასა და აკადემიურ რესურსზე, მათ შორის ისეთებზე, როგორებიცაა: Cambridge Core, The Royal Society Journals, SAGE Journals, ScienceDirect, Scopus და Web of Science. საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, დადასტურდა, რომ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იღებენ უწყვეტ საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერას საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით, რაც ხორციელდება ბიბლიოთეკის კვალიფიციური პერსონალის მიერ ორგანიზებული ტრენინგების, შეხვედრებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების საშუალებით.

ამავდროულად, სილაბუსებისა და საბიბლიოთეკო რესურსების ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსის ფარგლებში მიზანშეწონილია ლიტერატურის შემდგომი განახლება და გაძლიერება, რაც გულისხმობს დარგობრივი სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემების, თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებისა და განახლებული საერთაშორისო აკადემიური რესურსების ინტეგრირებას. კომპიუტერული მეცნიერების სფეროს დინამიკური ბუნებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გათვალისწინებით, სასწავლო მასალებისა და რეკომენდებული ლიტერატურის პერიოდული განახლება კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესის აქტუალურობასა და ხარისხს.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამედროვე, ზოგადად კარგად აღჭურვილ და სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. არსებული მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, ციფრული და საინფორმაციო რესურსები ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას; თუმცა, სპეციალიზებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, ლაბორატორიული რესურსებისა და აკადემიური ლიტერატურის შემდგომი განახლება ხელს შეუწყობს პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას, აქტუალურობას და პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიან განხორციელებას, სტუდენტთა ნაკადის ზრდასთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o დაწესებულებაში ვიზიტი;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o საბიბლიოთეკო რესურსები;
- o ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი: <https://biblio.unik.edu.ge/biblio/opac/index.php>
უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://cue.edu.ge/chvens-shesaxe/biblioteka/?playlist=4345406&video=94eccc7>;
- o საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული მონაცემთა ბაზები.

რეკომენდაციები.

- o R4.4.1: რეკომენდირებულია, ლიტერატურის განახლება შემდეგი სასწავლო კურსებისთვის: კიბერუსაფრთხოება, კომპიუტერის არქიტექტურა, ინფორმაციული უსაფრთხოება და პროგრამული ინჟინერია.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o S4.4.1 ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის მოსალოდნელი ზრდის (წელიწადში დაახლოებით 30 სტუდენტი) გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაძლიერება. მომდევნო წლებში, არსებული ინფრასტრუქტურა შესაძლოა გამოწვევების წინაშე დადგეს ისეთი მაღალი წარმადობის პროგრამული აპლიკაციების ეფექტიანად მხარდაჭერის თვალსაზრისით, როგორებიცაა AutoCAD-ი და ArchiCAD-ი. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ხელმისაწვდომია მხოლოდ 15 მაღალი წარმადობის კომპიუტერი.
- o S4.4.2 სასურველია, ასევე განვითარდეს ლაბორატორიული რესურსები, რათა სრულფასოვნად განხორციელდეს ისეთი სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტები, როგორიცაა „კიბერუსაფრთხოება“ და „კომპიუტერული ქსელები“.

ამჟამად, არსებული ლაბორატორიები უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს ემსახურება, რამაც შესაძლოა შეზღუდოს მათი ხელმისაწვდომობა და პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებული აქტივობების ეფექტიანი განხორციელება.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
4.4 მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში ბიუჯეტირების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტის „ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცედურების“ შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 12 ნოემბრის №5 დადგენილებით. აღნიშნული პროცესი დეცენტრალიზებულია და საშუალებას აძლევს ფაკულტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს, წინასწარ დადგენილ ლიმიტებში დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი ფინანსური საჭიროებები და მიაწოდონ მათ პრიორიტეტი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულების აქტიურ მონაწილეობას ბიუჯეტის დაგეგმვისა და რესურსების განაწილების პროცესში.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, მონაწილეობს პროგრამის ბიუჯეტის მომზადებაში, რაც გულისხმობს პროგრამის საჭიროებების შეფასებას, პრიორიტეტული ხარჯების განსაზღვრასა და პროგნოზირებულ შემოსავლებსა და დაგეგმილ ხარჯებს შორის შესაბამისობას. კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტირების პროცესი როგორც 2025–2026 აკადემიური წლისთვის, ისე პროგნოზირებული 2026–2027 აკადემიური წლისთვის, განხორციელდა დადგენილი ინსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ბიუჯეტები მოიცავს ასიგნებებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სამეცნიერო

კონფერენციების, კვლევითი საქმიანობის, სტიპენდიების, ლაბორატორიული რესურსების, ბიბლიოთეკის განვითარების, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. აღნიშნული ასიგნებები ნათლად ასახავს ინსტიტუციის მზაობას, უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადი და ეფექტიანი განხორციელება და ხელი შეუწყოს მის უწყვეტ განვითარებას.

მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილი იქნება სტუდენტზე ორიენტირებული სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობისთვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება. კერძოდ, სტუდენტური კონფერენციების, კონკურსების, ოლიმპიადებისა და მასთან დაკავშირებული აკადემიური ჩართულობის ინიციატივების დამატებითი დაფინანსება ხელს შეუწყობს პროგრამის რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და წახალისებს სტუდენტების უფრო ფართო მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში.

მაგალითად, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის 2026–2027 წლების საპროგნოზო ბიუჯეტში სტუდენტური კონფერენციებისა და ოლიმპიადებისათვის გამოყოფილია 500 ლარი, ხოლო 2025–2026 წლების ბიუჯეტში ფაკულტეტის მასშტაბით სტუდენტური კონფერენციების ასიგნებები 2 700 ლარს შეადგენს. კომპიუტერული მეცნიერების სფეროს დინამიკური და სწრაფად განვითარებადი ბუნების გათვალისწინებით, აღნიშნული ფინანსური რესურსების შემდგომი გაფართოება შექმნის დამატებით შესაძლებლობებს სტუდენტებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, ჰაკათონებში, აკადემიური გაცვლის აქტივობებში, კვლევების პრეზენტაციებსა და რეგიონულ თუ საერთაშორისო კონკურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o უსდ-ს ბიუჯეტი;
- o საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- o R4.5.1 რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა, განსაკუთრებით სტუდენტთა აკადემიური და კლასგარეშე/აქტივობების მხარდასაჭერად. ამ მიმართულებით ფინანსური მხარდაჭერის გაძლიერება ხელს შეუწყობს: ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კონკურსებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდას; რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე პროგრამის ცნობადობისა და რეპუტაციის ამაღლებას; სტუდენტური კვლევების, ინოვაციებისა და პროფესიული ქსელური კავშირების წახალისებას; აგრეთვე, პროგრამის საერთო კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის გაზრდას.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	მეტწილად შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა განსაზღვრულია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“ (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დადგენილებით). დოკუმენტის მიზანია უნივერსიტეტში ერთიანი პოლიტიკისა და სახელმძღვანელო სტანდარტების შექმნა, ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი შიდა და გარე მექანიზმების შემუშავება, აგრეთვე სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბების, პროცესების დაგეგმვის, შეფასების, უწყვეტი განვითარებისა და ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში (CUE) ხარისხის უზრუნველყოფა შემდეგ ძირითად მიდგომებს ეფუძნება:

- გამჭვირვალობა და საჯაროობა — პროცესებისა და შედეგების ღიაობა საზოგადოებისათვის.
- ობიექტურობა და სანდოობა — მიუკერძოებელი შეფასებები და მყარი/სარწმუნო მონაცემები.
- უწყვეტობა და ვალიდურობა — განათლების ხარისხის უწყვეტი მონიტორინგი.

სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №36 ბრძანებით).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა და პროცედურები ეფუძნება ციკლის — „დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA cycle) პრინციპს.

პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და უშუალოდ შეფასების განხორციელების პროცესში:

- პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს თავიანთი მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეფასების განხორციელების პროცესში.
- სააკრედიტაციო დოკუმენტებში წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები.
- ინტერვიუს მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები.

პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას — ისინი ინფორმირებულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვებიდან მიღებული შედეგების შესახებ, რომლებიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება წარმოადგენდა თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის კომიტეტის წევრები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შეფასდა

დაინტერესებული მხარეების — პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის - მიერ. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შემთხვევაში, პროგრამა შესაფასებლად გაეგზავნათ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ვინაიდან აკრედიტაციაზე წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში და, შესაბამისად, პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

საკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას, თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, აგრეთვე, დამსაქმებლებმა დაადასტურეს თავიანთი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში დარგობრივი და თემატური საკითხების, ისევე როგორც პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სტრუქტურის განსაზღვრის თვალსაზრისით. შესწავლილ იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები, ასევე ჩატარდა საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური პროგრამების ანალიზი. შეხვედრების მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის შემუშავების პერიოდში მათი მოსაზრებები გათვალისწინებული იყო, და ასევე, დაასახელეს მათი რეკომენდაციები, რომლებიც აისახა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში.

მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები: რეკომენდაციების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას, სავალდებულო სასწავლო კურსების სახით, დაემატა შემდეგი საგნები: პროფესიული ეთიკა (3 ECTS), კიბერუსაფრთხოება (5 ECTS) და მანქანური სწავლება (5 ECTS). დაინტერესებული მხარეების შეფასებამდე, აღნიშნული სასწავლო კურსებით გათვალისწინებული საკითხები გარკვეულწილად დაფარული იყო სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში, თუმცა, სფეროს სპეციფიკის, დამსაქმებელთა რეკომენდაციებისა და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICT) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტის გათვალისწინებით, ეს კურსები ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სასწავლო კურსებად;

სტუდენტების რეკომენდაციების საფუძველზე, სასწავლო კურსი „ხაზოვანი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“ განისაზღვრა კურსის — „კრიპტოგრაფიის საფუძვლები“ წინაპირობად.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ადაპტაციასა და მათ ჯეროვან იმპლემენტაციას. შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეგულაციებია: დისტანციური სწავლების ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები და დისტანციური სწავლებისას საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცედურები, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით;
- o პროგრამა და სილაბუსები;
- o ინტერვიუს შედეგები;
- o უსდ-ს ვებ-საიტი.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად, ხარისხის გარე შეფასება მოიცავს:

ა) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და მონიტორინგის შედეგად მიღებულ შეფასებას;

ბ) საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად განხორციელებულ შეფასებას.

გ) ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ განხორციელებულ შეფასებას.

თვითშეფასების ჯგუფის განმარტებით, აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის შემუშავებისას მათ ასევე გაითვალისწინეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსა და სააკრედიტაციო ექსპერტების მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების/კლასტერების აკრედიტაციის პროცესში გაცემული ის რეკომენდაციები, რომლებიც რელევანტური იყო მოცემული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისას, პროგრამის განვითარების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს კოლეგიალურ განმავითარებელ შეფასებას (peer assessment). პროგრამა შეფასდა სამი გარე დარგობრივი სპეციალისტის მიერ: ასოცირებული პროფესორი რ. გ. (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), სსიპ — შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, პროფესორი ნ. ა. და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი ბ. გ. კომპანია „Meta“-დან.

პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამის ხელმძღვანელებმა და კომიტეტის წევრებმა გაითვალისწინეს ექსპერტების მოსაზრებები და რეკომენდაციები: სასწავლო კურსების — „პროგრამირება .NET პლატფორმაზე“, „შესავალი პროგრამირებაში C/C++-ის გამოყენებით“ და „პროგრამირება JVM პლატფორმაზე“ შინაარსის გადახედვა კურსებს შორის თემატური დუბლირების თავიდან აცილების მიზნით; სასწავლო კურსის — „პროგრამირება .NET პლატფორმაზე“ მიზნების, შედეგებისა და შინაარსის შეცვლა და კურსში ახალი თემების დამატება: C# ენის სხვა შესაძლებლობები: თარიღი, დრო და დროის ინტერვალები; საბაზისო ბიბლიოთეკის სხვა კლასები: გლობალიზაცია, გრაფიკა; ასევე სასწავლო კურსების — „პროგრამირების ენა Python“, „შესავალი პროგრამირებაში C/C++-ის გამოყენებით“ და „პროგრამირება JVM პლატფორმაზე“ შინაარსის გადახედვა მათში შინაარსობრივი დუბლირების გამოსარიცხად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გარე ექსპერტების შეფასება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის (SER), აკრედიტაციისთვის წარდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგსა და პერიოდულ გადახედვას. აღნიშნულ პროცესებში უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სისტემატურად გროვდება და ანალიზდება, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება პროგრამისა და მისი სასწავლო კურსების უწყვეტი გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში იქმნება პროგრამის კომიტეტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამის კომიტეტთან. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი მხარეები (პირები) არიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კომიტეტი და ფაკულტეტის დეკანი. შესაბამისად, პროგრამაში ცვლილებების ინიციატორი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი ზემოაღნიშნული მხარე (პირი). შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,

დამტკიცების, გაუმჯობესების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურები. მუხლი 4: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და ცვლილება/მოდიფიკაცია

უსდ-ის რეგულაცია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“ განსაზღვრავს ხარისხის შიდა შეფასების სფეროებს, აკონკრეტებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დახვეწისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების მარეგულირებელ წესთან ერთად, სააკრედიტაციო დოკუმენტებში (დანართი 11 — პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა) წარმოდგენილია შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ „კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო“. გარდა ამისა, წარმოდგენილია უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის: სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევები, პერსონალის, ნაშრომის ხელმძღვანელებისა და საგამოცდო პროცესის შეფასების გამოკითხვები; ასევე, სწავლის შედეგების შეფასების, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ანალოგიური პროგრამების შესწავლის ამსახველი დოკუმენტაცია და ანალიზი. წარმოდგენილია ასევე ინფორმაცია პერსონალის განმავითარებელი აქტივობების შესახებ.

სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა აუდიტორიული მუშაობის შეფასების პროცედურები და აუდიტორიული მუშაობის შეფასების ფორმა. აღნიშნული შეფასება ემსახურება სასწავლო პროცესში ჩართული პირების პროფესიულ განვითარებას, საჭიროებებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებას, ასევე კოლეგებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და დამკვიდრებას. აუდიტორიული მუშაობის შეფასება პერიოდულ/რეგულარულ ხასიათს ატარებს.

დასწრების პერიოდულობა და სიხშირე ორ ძირითად ფორმად იყოფა:

- **გეგმური დასწრება:** ხორციელდება თითოეული სემესტრის განმავლობაში წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით. როგორც წესი, ლექციაზე დასწრება წინასწარ თანხმდება ლექტორთან, რათა შეფასდეს სასწავლო კურსის სტანდარტული/ჩვეული მიმდინარეობა.
- **არაგეგმური (საჭიროებაზე დაფუძნებული) დასწრება:** ასეთი შემთხვევები მოიცავს:
 - სტუდენტების მიერ გამოხატულ უკმაყოფილებას ან საჩივარს;
 - სტუდენტთა შეფასებების დაბალ მაჩვენებლებს;
 - ახალი, ახლად მოწვეული პერსონალის პირველად მონიტორინგს;
 - წინა შეფასებებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმებას (მონიტორინგს).

აუდიტორიული მუშაობის (ლექციების) მონიტორინგსა და დასწრებას ახორციელებენ შემდეგი პირები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ან დეკანის მოადგილე;
- დარგის სპეციალისტები (საგნობრივი კომპეტენციის შესაფასებლად მოწვეული კოლეგები).
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შედეგების ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები, ასევე, იგეგმება მხარდაჭერის შესაძლებლობები და კონკრეტული ნაბიჯები. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს აუდიტორიული აქტივობების განმეორებითი შეფასება. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად ახორციელებს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევებს. ასევე, ტარდება სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება სტუდენტების მიერ, საგამოცდო პროცესების შეფასება სტუდენტების მხრიდან და სხვა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის მიზნით, ხორციელდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად შეისწავლის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და ახდენს მის ანალიზს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებული სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან მიმართებით.

ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა-სწავლებისა და საგამოცდო პროცესების განსავითარებლად, სამეცნიერო საქმიანობის მხარდასაჭერად, ასევე, ორგანიზაციული მართვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად. გამოკითხვის შედეგებზე რეაგირებას ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების/პროცესების შესრულების კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამის კურატორ ვიცე-რექტორთან კოორდინაციით.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით, უსდ პერიოდულად ადარებს პროგრამას მსგავსი პროფილის მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების პროგრამებს. თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესში შეისწავლეს

ანალოგიური პროგრამები და მიღებული გამოცდილება გამოიყენეს წარმოდგენილი პროგრამის განვითარებისას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ შესაბამისად. ფასდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, პროფესიული განვითარება და აკადემიური აქტივობა, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — მათი პროფესიული განვითარება და აკადემიური აქტივობა.

შეფასება ხორციელდება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც წინასწარ არის ცნობილი შესაფასებელი პირებისთვის. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების საჭიროებების დასადგენად, მხარდაჭერის შესაძლებლობების დასაგეგმად და მათ წასახალისებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 0 საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, გაუმჯობესების, მოდიფიკაციისა და გაუქმების პროცედურები;
- 0 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- 0 კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო პრინციპები;
- 0 აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- 0 ჩატარებული გამოკითხვები;
- 0 ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები.

არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ ეხება

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

